# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 91. კვირა, 9 თებერვალი 1903 წ. გაზეთის № 206.



თვალ-უხილველი სინათლეს ურიგებს.—სურათი ჭოლცაფელისა.

* * *

გული აღარ მაქვს ოხერი,
ნეტა სად დამიკარგნია?
მოძულებია, თუ რაა,
ნეტა რად დამიმარხნია?
მერე ხომ ვიცი სადაა,
მაგრამ ვერ მიმიხედნია.

ახლა რა ავი დრო არის,
შეგულოსავით შავბნელი;
ზედ გრილი მიწა აყრია,
კარგის და ყრილის ჩამთქმელი;
მისთვის აღარსად მზე არის,
აღარსად იმის ნათელი.

კიოთ დასწუხდა საწყალი,
მიტირის, აღარ ეძლება.
ზედ ჭბარდნის, წყალი ჩაუდის,
მამას ეძახის ეგება.
გავიქცე?.. მაგრამ, ვაჭმე, რომ
იმას აღარა ერგება;
მივალ, ის ვეღარც რას მეტყვის,
ვეღარც წინ მომეგებება...
ვერც მივალ, ვეღარც აქა ვძლებ,
ვიწვები, ცეცხლი მედება.
კრულ იყოს ჩემი გაჩენა,
თუ სრულ ეს ჟამი მექმნება
და ქვეყნის ცოდვით საწუთროც
ჭირითამც ამოეგება.

ბაჩანა.

* * *

ჰეინედინ

მართლა შენ მე გამიხდი მტრად?
მართლა სრულად შეიცვალე?
როგორც მომქქეც ულმობლად
ყველას შევჩივლებ,—მაცალე.

თქვე უმადურნო ბაგენო,
როგორ ახსენებთ მას ცუდათ,
ვინც იმ განვლილსა ნეტარ დროს
ისე ტკბილადა გკოცნიდათ..,

ი. ბაქრაძე



პირველი შვილი.—სურათი, ფერაცის.

# ოჯახის მამა

**ჩეხოვისა**

ასეთი ამბავი ხდება ჩვეულებრივ ბანქოში ბლომად წაგებისა ან და ზედმეტ გადაკვრის შემდეგ, როდესაც ადამიანის გონებას თავისი ემართება.

სტეფან სტეფანიჩ ჟილინს არაჩვეულებრივ გუნებაზე გამოეღვიძა. იმის შეშლილ, გაყვითლებულ სახეზე იხატებოდა რაღაც უცნაური უკმაყოფილება. აუჩქარებლად, ზანტად ჩაიცინა და დაიწყო ოთახებში სიარული.

— ნეტავი გამაგებინა, ვინ ოხერ-მუტრუკი დაეხეტება აქა და კარებს კი არა ჰკეტავს!—წამოიძახა გულ-მოსულმა ჟილინმა.—შეინახეთ ეს ქალალდები, აქ რა უნდა! ოცი მოსამსახურე მყავს და წესიერება კი მაინც დაუცველია... ეი! მანდ ვინა ჰრეკავს?

— ბებია ანფისა გახლავთ!—უპასუხა ცოლმა.

— მუქთა-მჭამლები... ნეტავი რას დაეხეტებიან, რა უნდათ?!

— რა ამბავია, სტეფან სტეფანიჩ, თითონ დაჰპატიჟე და ახლა კი იბუტები?

— დედაკაცო, უმჯობესია საქმე აკეთო, ვიდრე ცუდუბრალოდ იჯდე და მეჩხუბო! აბა, ერთი გამაგებინე, ვინ იბუტება? მე ვლაპარაკობ, გესმის, ვლაპარაკობ!.. სინიდისსა ვფიცავ, ქალებისა ვერაფერი გამიგია, დიაღ, ვერაფერი! საოცარია, როგორ ატარებენ მთელ დღეებს უსაქმოდ. ქმარი შრომობს, მუშაობს, როგორც ვირი, როგორც ხარი, ცოლი კი ზის თავისთვის არხეინად, არაფერს აკეთებს და უცდის შემთხვევას, რომ უსაქმობით მოწყენილი ქმარს წაეჩხუბოს. დროა, ადამიანო, თავი დაანებო ინსტიტუტის ჩვეულებებს; შენ ხომ არც ინსტიტუტის მოწაფე ხარ და არც გასათხოვარი ქალი, არამედ დედა, ცოლი, გესმის? აჰა, იბუზღები კიდეც!? ან კი რა სასიამოვნოა, ყური დაუგდო მწარე ჭეშმარიტებას!

— საკვირველია, რომ მწარე ჭეშმარიტებას შენ მხოლოდ მაშინ ლაპარაკობ, როცა გული გეწვის!..

— აჰა! დაიწყე სცენები, დაიწყე!..

— ვისთან ითამაშე გუშინ, რამდენი წააგე?

— თუ გინდ ასეც იყოს, ვისი რა საქმეა? განა, მე ვალდებული ვარ, ვისმეს ანგარიში ვაძლიო? განა, მე ჩემ ფულს არ ვაგებ? ის, რასაც თითონა ვხარჯავ და ისიც, რაც ამ სახლში იხარჯება, მე მეკუთვნის, მე, გესმის, მხოლოდ მე!..

აი, როგორი სცენები ხდება ხოლმე, მკითხველო, სტეფან სტეფანიჩის სახლში. მაგრამ არას დროს ისეთი სამართლიანი, კეთილი და ზომიერი არ არის ხოლმე ჟილინი, როგორიც მაშინ, როცა მთელის ჯალაბობით სადილს შეექცევა. სადილი ჩვეულებრივ წვნიანით იწყება. გადაჰყლაპავს რა ერთ კოვზ წვენს, სტეფან სტეფანიჩი საშინლად ილმიჭება და ჭამას თავს ანებებს:

— ეშმაკმა იცის რა არის!.. სხვა გზა არ არის, ტრახტირში უნდა ვისადილო...

— რა ამბავია? – ეკითხება შეწუხებული ცოლი,—განა წვნიანი ცუდია?

— არ ვიცი, რა მადა უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ესა სჭამოს! მლაშეა, საძაგელი... ხახვის მაგიერ რაღაც საზიზღარი კედლის-ტილები დასცურავენ შიგა... ერთის სიტყვით, ჰყარს... ანფისა ივანოვნა, ყველაფერს ვიკლებ, ყოველ-დღე ერთ მუჭა ფულს ვაძლევ სანოვაგის სასყიდლად და, აი, რითა მკვებავენ! მავათ ის უნდათ, რომ სამსახურს თავი დავანებო და სამზარეულოში თითხნა დავიწყო.

— წვნიანი დღეს კარგია, – გაუბედავად შენიშნავს გუვერნანტკა.

— თქვენა გგონიათ?—მრისხანე გამომეტყველებით ამბობს ჟილინი და გულმოსული შესცქერის იმას. – მართლაც, ყველას თავისი გემო აქვს და ჩვენც, ვარვარა ვასილიევნა, დიდად განვირჩევით ამ მხრივ... თქვენ, მაგალითად, მოგწონთ ყოფა-ქცევა ამ ბიჭისა (ტრაგიკულად ანიშნებს იქვე მჯდომ თავის შვილ ფედიაზე); თქვენ აღტაცებაში მოჰყევხართ მაგას, მე კი... მე ვშფოთდები.—ფედიას, შვიდის წლის ბავშვსა, ამის გაგონებაზე ფერი ეცვლება და თავს ჩაჰკიდებს.—დიაღ, თქვენ აღტაცებაში მოდიხართ, მე კი ბრაზი მერევა. არ ვიცი ჩვენში რომელია უფრო მართალი, მაგრამ ვფიქრობ, რომ მე როგორც მამა, უკეთ ვიცნობ ჩემ შვილს, ვიდრე თქვენ. აბა, ერთი შეჰხედეთ, როგორა ზის! განა, მაგრე სხედან წესიერად აღზრდილი ბავშვები? დაჯექი სწორედ!—ფედია აიღებს თავს, გამოიშვერს წინ კისერს და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივა.—გესმის, დაიჭირე კოვზი. როგორც რიგია! დამაცა, მოვაღწევ შენამდე, შე საძაგელო! მიყურე პირდაპირ, არ გაბედო ტირილი!—ფედია სცდილობს პირდაპირ უყუროს, მაგრამ შიშით სახე უკანკალებს და თვალები თან-და-თან ცრემლებით ევსება.—აჰა, სტირი კიდეც? შენა ხარ დამნაშავე და შენვე სტირი? გაეთრიე, დადექ კუთხეში, შე მუტრუკო, შენა!

— არა, ჯერ ისადილოს,—ჩაერევა ცოლი.

— არ შეიძლება! დარჩეს უსადილოდ! ასეთ მხეც.. ასეთ ცელქებს ნება არა აქვთ, ისადილონ.—ფედია ხელებით იფარავს პირის სახეს და სხეულის ცახცახით შორდება სასადილო სტოლს, მიდის და დგება კუთხეში.

— არა, ეს კიდევ ცოტაა შენთვის!—ცხარობს ჟილინი.—რაკი არავის ჰსურს შენის აღზრდისთვის მოიცალოს, მე თითონ მოვიცლი... ჩემთან ვერ გაჰბედავ სადილზე ტირილსა და ცელქობას. არამზადავ! საქმეს გაკეთება უნდა, მამაშენი შრომობს და შენც უნდა იშრომო. ტყუილად პურს არ უნდა აფუჭებდე! გესმის, შენ უნდა იყო ნამდვილი ადამიანი!

— გაათავე, ღვთის გულისათვის, რა ამბავია!—ეხვეწება ცოლი ფრანგულად,—გარეშეებთან ნუ გვჭამ მაინც. დედაბერს

ყველაფერი ესმის და იმის წყალობით მთელი ქალაქი გაიგებს.

— მე სრულიადაც არ მეშინიან გარეშეებისა!—უპასუხებს ქილინი რუსულად.—ანფისა ივანოვნა კარგად ჰხედავს, რომ მე სამართლიანად ვსჯი. განა, მე კმაყოფილი უნდა ვიყო მაგ ბიჭით? მერე, შენ იცი, რა მიღირს ეგა? იცი, შე საძაგელო, რამდენად მიღირხარ? იქნება ჰფიქრობ, რომ მე ფულსა ვჭრი? გაჩუმდი, ნუ ქვითინებ! გესმის, რას გეუბნები? ხომ არ გინდა, წიწილასავით გაგსრისო!..—ფედია ხმა-მაღლა ქვითინებს.

— ეს სწორედ მეტის-მეტია!—ამბობს ფედიას დედა და სტოლიდან დგება.—არას დროს არ გვაცლის თავისუფლად სადილობას! ასეთი სადილი ყელზე დაადგება ადამიანს!—და ცრემლ-მორეული ისვრის სალფეტკს და ჩქარის ნაბიჯით, თვალებზე ცხვირსახოც მიფარებული, გადის სასადილო ოთახიდან.

— უყურეთ ქალბატონს, რა შეურაცხყოფილად სთვლის თავის-თავს!—ბუტბუტებს ქილინი და თან ძალად იღიმება.—სათუთად აღზრდილნი... დიაღ, ანფისა ივანოვნა, ჩვენ დროში ქალებს სიმართლის გაგონება არ უყვართ.

სიჩუმე ჩამოვარდება. ამ დროს ქილინი თვალს ავლებს თეფშებს და ამჩნევს რა, რომ წვენისთვის არავის არ უხლია ხელი, ღრმად ამოიოხრებს და ცალის თვალით გადაჰხედავს გაწითლებულ, მწუხარებით სავსე გუვერნანტკის სახეს.

—რატომ არა სჭამთ, ვარვარა ვასილიევნა? შეიძლება შეურაცხყოფა მოგაყენეთ? მაპატიეთ! მე ყოველთვის სიმართლითა ვსჯი, ფარისევლობა ჩემის ბუნების წინააღმდეგია... რა გაეწყობა! მე ვამჩნევ, რომ ჩემი აქ ყოფნა არავისთვისაა სასიამოვნო. ჩემთან არც ჭამა ეხერხებათ და არც ლაპარაკი... ეს რომ მცოდნოდა, დროზე წავიდოდი... მივდივარ კიდეც.

ქილინი ადგება და გაემართება კარებისკენ. მიუახლოვდება რა მტირალე ფედიას შესდგება:

—შემდეგ იმისა, რაც აქ მოხდა, შენ თავისუფალი ხარ!—ეუბნება ფედიას,—მე შენს აღზრდაზე ხელი ამიღია. როგორც მამას, მსურდა შენი სიკეთე და ამიტომაც შეგაწუხეთ შენ და შენი აღმზრდელი ქალი. გთხოვ პატიებას! დღეის შემდეგ მე არა მეკითხვის რა შენის მომავალის ბედ-იღბლის პასუხის გებაში...

ქილინი მედიდურად მიბრუნდება კარებისკენ და გადის საძინებელ ოთახში. ფედია კი უფრო უმატებს ქვითინს. გამოძინების შემდეგ ქილინი ჰგრძნობს სინიდისის მხილებას. სცხვენიან ცოლისა, შვილისა, ანფისა ივანოვნასი და საშინლად სწუხს სადილზე მომხდარ სურათის მოგონებაზე. მაგრამ იმისი თავმოყვარეობა დიდია, არა ჰყოფნის ვაჟკაცობა, რომ იყოს გულწრფელი, და ისევ იწყებს თავისებურად ბუზღუნს.

მეორე დღეს ქილინი დგება საუცხოვო გუნებაზე და მხიარულის სტვენით შედის სასტუმროში ყავის მისართმევად. იქ უხვდება ფედია, რომელიც მამის დანახვაზე საჩქაროდ წამოდგება და დაფანტვით დაუწყებს ცქერას იმის მხიარულ სახეს.

—როგორ გიკითხო, ახალგაზდავ? —ეკითხება ქილინი შვილს.—რა იცი ახალი, როგორ სცხოვრობ? მოდი, აკოცე მამა-შენს, ჩემო ცელქო!

ფედია ფერმიხდილის სახით მიუახლოვდება მამას ‍და ათრთოლებულის ტუჩებით აკოცებს. შემდეგ მოჰშორდება და წყნარად თავის ადგილას დაჯდება.

სიდ. თავართქილაძე.

---

# „აიდოსტ“

(პატარა ამბავი)

I

კირილეს გაცნობა და მაკრინეს მოლხენა ერთი იყო.

ქმართან ცხვირ-პირ დაშვებულმა მაკრინემ ეხლა გიჟ-მაჟობა და ცელქობა დაიწყო.

ქმარი ეფრემი თავის ცოლს მაკრინეს „ცხრა-წვენას“ ეძახდა და არც ის გაუკვირდა, რომ მაკრინემ უცბად „აიდოსტის“ თამაშობა შემოიღო ქმართან.

ეფრემი მეხსიერებაზე სუსტად გახლდათ და... გამარჯვება სულ მაკრინესკენ იყო ხოლმე: ეფრემი ზედი-ზედ აგებდა ხან გროშებს და ხან კამფეტეულობასაც.

— მე რომ შენ აგუგე, ჯიბის შანას გამიწყვეტ,—ვითომ და ხუმრობით უთხრა ეფრემმა მაკრინეს, მაგრამ ამ სიტყვებს უფრო საყვედურ-სამდურავის სუნი სდიოდა, ვიდრე ალერსისა.—ეხლა სხვა რამ გასართობი მოიგონე, „აიდოსტს“ თავი დაანებე.

— სხვასთან ხომ არ აგებ, შენი და ჩემი ვის გაუყვია!—გაბუტვით უსაყვედურა მაკრინემ.—ვაი ჩემი ბრალი, არაფერში არა მაქვს ბედი...

— იყავ ნება შენი,—მიეთანაგრძნობა ეფრემი:—გეხუმრებოდი, ოღონდ შენ ისიამოვნე და ვინ წყეული დაგიშლის!

— ჰო, გენაცვალოს შენი მაკრინე, ჯერ კიდევ განვაგრძოთ, სანამ მოვიგონებდე სხვა რამ გასართობს!—კვერი დაუკრა მაკრინემ და თანაც თვალები ისე აათამაშა, თითქო უნდა ეთქვა: „რას მიჰხვდება



ხომ არავინ მხედავს!—სურათი კურტუასი.

ეს სულელი, რომ „აიდოსტი“ იმის თვალების ასახველად გამოვიგონეთ!?“

II

— მაკრინე, ვიღასიც ფეხის ხმა ისმის... შენი ქმარი ხომ არ მოდის?. .—ჩუმი და შეშინებული ხმა გამოისმა მაკრინეს ოთახიდან:—ჰკარიქა, მიშველე...

— ის ჯრის, მაგრამ ნუ გეშინიან, ჩემო კირილე!—აგრეთვე ჩუმისა და შეშინებულის კილოთი ანუგეშა მაკრინემ.—შენი აქედან გასვლა ყოვლად შეუძლებელია, კარებში შეეფეთები... უნდა მოვიგონო რამე...

— მიშველე, თორემ...

— აი, ამ სკივრში ჩაძვერი, დაიმალე...

შეშინებულმა კირილემ არც აცივა, არც აცხელა და ისკუპა სკივრში.

ის იყო მაკრინემ სკივრი დაკეტა და გასაღებს ჯიბეში იდებდა, რომ შემოვიდა კიდეც ეფრემი!

— მომეცი აქ გასაღები,—უთხრა ცოლს ცოტა არ იყოს მაკრინეს საეჭვო საქციელზე გულ-მოსულმა ეფრემმა.—რას ფიქრობთ, რას?.. გასაღები-მეთქი!..

— აჰა, დაიჭი! გეთაყვა, მაგისთვის რა გაბრაზებს!

ეფრემმა გამოართვა თუ არა გაწვდენილი გასაღები, მაკრინემ იმწამსვე პირში მიახალა: „აიდოსტ, მიჯობნია!“ და... ნიშნად სანაძლეოს მოგებისა სიამოვნებითაც გადიხარხარა...

— ღმერთმა შენც დაგწყევლოს და შენი „აიდოსტიც“,—მწარე ღიმილით უთხრა და მიუგდო მაკრინეს გასაღები.—რა დროს „აიდოსტია“... კაცი დაღალულ-დაქანცული მოვდივარ სამსახურიდან... მოიტა, პური მაჭამე... შიმშილით კუჭი მეწვის...

და მიამიტი ეფრემი სასადილო ოთახში გავიდა...

დუშელი განი



რამდენად უხერხულია ტფილისის ტროტუარებზე სიარული.



ახლანდელი იარაღი საქმეების გადასაწყვეტად.




რა სისწრაფით კეთდება ტფილისის საქალაქო საქმეები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით წელიწადში ღირს—6 მანეთი.

1903 წლის ხელის-მომწერთ გაეგზავნება ახალი სურათი

შოთა რუსთაველისა

სამოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

„მოამბე“

წელიწადში ღირს—10 მან. გაგზავნით 11 მან.

„ცნობის ფურცელი“ სურათებიანის დამატებით

„მოამბის“ ხელის-მომწერთ უფასოდ გაეგზავნება

Доз. ценз. Тифлисъ, 8 Февраля 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.